ხელშეკრულება N35030301/22
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 11 ნოემბერი 2013 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები
1.1. ერთი მხრივ, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის, ზაზა რუხაიას სახით და მეორე მხრივ, შპს ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი (შემდგომში ,,მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ირაკლი გამყრელიძის სახით, ვხელმძღვანელობთ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის „2013 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 ოქტომბრის N279 დადგენილებისა და ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის (CPV კოდი 85100000) შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი
2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „2013 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 ოქტომბრის N279 დადგენილებით (შემდგომში „დადგენილება“) დამტკიცებული „ფსიქიკური ჯანმრთელობის“ (დანართი N11) სახელმწიფო პროგრამის (შემდგომში ტექსტში „პროგრამა“) მე-3 მუხლის „ა.დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების განხორციელება (ამბულატორიული მომსახურების კომპონენტის ფსიქიატრიული კრიზისული ინტერვენცია მოზრდილთათვის ქვეკომპონენტი).

3. მომსახურების გაწევის პირობები
3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება 2013 წლის 11 ნოემბრიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
3.2. მომსახურების გაწევა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის „დადგენილებით“ გათვალისწინებული და/ან „შემსყიდველის“ მიერ განსაზღვრული (ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში) მოთხოვნების შესაბამისად.
3.3. ამ მუხლის 3.1. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადა შეიძლება გაიზარდოს მხარეთა წერილობითი შეთანხმებით. მხარეები თავისუფლდებიან დამატებითი წერილობითი შეთანხმების გაფორმებისაგან და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა გრძელდება უწყვეტად იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით მიღებული შესაბამისი სამართლებრივი აქტი ადგენს „შემსყიდველის“ ვალდებულებას/უფლებამოსილებას გააგრძელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება იმავე „მიმწოდებელთან“. იმ შემთხვევაში, თუ მხარე არ ეთანხმება წინამდებარე ხელშეკრულების ავტომატურად – უწყვეტად გაგრძელებას, მიუხედავად სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული პირობისა, ეს მხარე ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე წერილობით აცნობის მეორე მხარეს შესაბამის სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან და/ან ხელმოწერიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

4. ხელშეკრულების ღირებულება
4.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 32 783.33 (ოცდათორმეტი ათას შვიდას ოთხმოცდასამი ლარი და 33 თეთრი) ლარს.
4.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება, მოიცავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს“.

5. დაფინანსება
5.1. პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების დაფინანსება ხორციელდება გლობალური ბიუჯეტის პრინციპით, ერთი თვის ლიმიტი შეადგენს:
5.1.1 ნოემბერი - 13113.33 (ცამეტი ათას ას ცამეტი ლარი და 33 თეთრი) ლარს,
5.1.2. დეკემბერი - 19 670.00 (ცხრამეტი ათას ექვსას სამოცდაათი) ლარს.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი
6.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
6.1.1. ზედმიწევნით და განუხრელად დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების პირობები;
6.1.2. გაარკვიოს პაციენტი (ან მისი წარმომადგენელი) თავის (პაციენტის) უფლება-მოვალეობებში და მისცეს საჭირო ახსნა განმარტებები პროგრამის იმ ნაწილის შესახებ, რომელიც ეხება პაციენტს;
6.1.3. პროგრამის მოთხოვნის სრული დაცვით აღმოუჩინოს (გაუწიოს) შესაბამისი სამედიცინო დახმარება (მომსახურება) პაციენტს;
6.1.4. ოპერატიულად მიაწოდოს „შემსყიდველს“ ინფორმაცია სალიცენზიო პირობების შეცვლის შესახებ;
6.1.5. „შემსყიდველის“ მოთხოვნის შესაბამისად მიაწოდოს მას ნებისმიერი ინფორმაცია თუ დოკუმენტი, რომელიც უკავშირდება პროგრამის ადმინისტირებას და/ან ამ მუხლის 6.3.1. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას;
6.1.6. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელებისას ზედმიწევნით და განუხრელად დაიცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები და „შემსყიდველის“ მიერ დადგენილი (მიღებული) მოთხოვნები (ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში).

6.2. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:
6.2.1. მიიღოს „შემსყიდველისაგან“ პროგრამის მიხედვით შესრულებული მომსახურების საფასური;
6.2.2. მოითხოვოს „შემსყიდველისაგან“ ხელშეკრულების სხვა პირობების შესრულება.
6.3. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
6.3.1. დადგენილების ფარგლებში, აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ გაწეული სამედიცინო მომსახურების საფასური;
6.3.2. გააცნოს „მიმწოდებელს“ ამ მუხლის 6.4.3. პუნქტის შესაბამისად მიღებული (გამოცემული) აქტი;
6.3.3. დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.
6.4. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:
6.4.1. მოთხოვოს „მიმწოდებელს“ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება;
6.4.2. მოთხოვოს „მიმწოდებელს“ დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტები, რაც უკავშირდება „მიმწოდებლის“ მიერ გაწეულ მომსახურებას;
6.4.3. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამით გათალისწინებული ურთიერთობების დარეგულირების მიზნით, მიიღოს (გამოსცეს) ინდივიდულაური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი, რომლის შესრულებაც სავალდებულოა „მიმწოდებლისათვის“ იმ მოცულობით, რაც უკავშირდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევას. ამ პუნქტით გათვალისწინებული აქტის მიღება წარმოადგენს „შემსყიდველის“ უფლებას და არა ვალდებულებას.

7. ხელშეკრულების შეწყვეტა
7.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
7.1.1. ურთიერთვალდებულებების შესრულებით;
7.1.2. მხარეთა შეთანხმებით;
7.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და/ან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
7.2. მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ინიციატორი მხარე მეორე მხარეს უგზავნის წერილობით შეტყობინებას.
7.3. წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, შეთანხმების მიღწევამდე.
7.4. „შემსყიდველს“ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ „მიმწოდებელის“ წერილობითი ინფორმირების შემდეგ:
7.4.1. თუ „მიმწოდებელს“ დადგენილებით გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის“ მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს შესაბამისი მომსახურება ან მისი ნაწილი;
7.4.2. თუ „მიმწოდებელს“ არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;
7.5. „შემსყიდველს“ ცალმხრივად შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
7.5.1. თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო „მიმწოდებელი“ ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
7.5.2. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
7.6. „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ცალმხრივად შეწყვეტა ხორციელდება „დადგენილებით“ გათვალისწინებული პირობებით.
7.7. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ფორს-მაჟორი
8.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა“ და/ან „მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოების ზეგავლენისაგან.

9. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა
9.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.
9.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10. სადავო საკითხების გადაწყვეტა

10.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული გარემოებების ირგვლივ წარმოშობილი ყველა უთანხმოება და დავა უნდა მოაგვარონ ურთიერთშეთანხმების გზით.

10.2. სადაო საკითხის შეთანხმების გზით მოგვარების შეუძლებლობის შემთხვევაში, მხარეებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

12. სხვა პირობები

12.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

12.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

12.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

12.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის, ხელშეკრულების პირობების დარღვევის შესახებ და ა.შ., თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

12.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

12.6. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება „მიღება-ჩაბარების“ აქტით ეტაპობრივად, რის საფუძველზეც „მიმწოდებელი“ „შემსყიდველს“ წარუდგენს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას და/ან ინვოისს, საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებში. მხარეები აგრეთვე ვთანხმდებით, რომ გაწეული მომსახურების შესახებ ინფორმაციის მოწოდების ფორმები და პირობები შესაძლებელია დაზუსტდეს დამატებით, „შემსყიდველის“ მიერ, რაც წერილობით ეცნობება „მიმწოდებელს“.

12.7. ხელშეკრულების რომელიმე ნორმის (მუხლი, პუნქტი) ბათილად ან გაუქმებულად გამოცხადება არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას ან გაუქმებას. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების რომელიმე ნორმის (მუხლის, პუნქტის) ბათილობის/გაუქმების საფუძველია საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილება, რაც ამოქმედდა წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, მხარეები ვთანხმდებით, რომ ამ შემთხვევაში არ არის სავალდებულო ხელშეკრულებაში კორექტირების შეტანა შეთანხმებით, ხოლო ბათილად/გაუქმებულად გამოცხადებული ხელშეკრულების ნორმის (მუხლის, პუნქტის) ნაცვლად მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

12.8. მხარეები ვთანხმდებით, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების დაწყების დღიდან წყდება მხარეთა შორის 2013 წლის 1 ოქტომბრის 2ფ42115304ა/5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა და შესაბამისად აღნიშნული ხელშეკრულება ითვლება შეწყვეტილად ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ურთიერთვალდებულებების შესრულების შემდეგ.

12.9. წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი ურთიერთობები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

12.10. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან“, ორი ეგზემპლარი „შემსყიდველთან“.

13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი"
სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო	შპს ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის
ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №144,	პრევენციის ცენტრი
საიდენტიფიკაციო კოდი №202178927	თბილისი, ქავთარაძის ქ. N12ა
	სს „თიბისი ბანკი“
	ა/ა N GE75TB7810436020100002
	ს/კ 404945164
ზაზა რუხაია	ირაკლი გამყრელიძე